დასკვნა:**დ03. 3723300001**
თარიღი:**27/10/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში მერიის მიერ წარმოდგენილი შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

_წარმოდგენილი პროექტით, მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები იზრდება 4 845 737,09 ლარით. ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 16 ივნისის საბიუჯეტო ცვლილებით დაგეგმილი 70 273,53 ათასი ლარის ნაცვლად, ბიუჯეტი განისაზღვრა 75 119,3 ათასი ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი სრულ თანხვედრაშია ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმილ მოცულობებთან;

_ბიუჯეტის მთავარი პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ დაფინანსება იზრდება 3 252,0 ათასი ლარით და შეადგენს 43 368,7 ათას ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების 57,7%-ია;

_პროექტის თანახმად, გარემოს დაცვისა და დასუფთავების პრიორიტეტის(პროგრამული კოდი 03) დაფინანსება იზრდება 310,0 ათასი ლარით და შეადგენს 4 103,0 ათას ლარს;

_ ცვლილებების პროექტში განსაზღვრულია განათლების პრიორიტეტის დაფინანსების ზრდა 194,9 ათასი ლარით(მათ შორის სკოლამდელი განათლების დაფინანსების ზრდა 50,0 ათასი ლარით); კულტურის ახალგაზრდობისა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება იზრდება 726,2 ათასი ლარით.

_ ცვლილებათა პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაფინანსების გაზრდას 50,0 ათასი ლარით;

- ცვლილებების პროექტში ასახულია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 400,3 ათასი ლარი ნაგავმზიდი მანქანების შესყიდვისათვის;

_ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტს თან ახლავს ინფორმაციული მასალა, სადაც კონკრეტულადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებული დეტალები. ასევე წარმოდგენილია ცვლილების პროექტის განმარტებითი ბარათი. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი

წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი